საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში

მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში საქართველო მე-8 ადგილზეა

ფრეზერის ინსტიტუტის საერთაშორისო კვლევის „ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოში 2017“ მიხედვით, 159 ქვეყანას შორის საქართველო მე-8 ადგილს იკავებს. ფრეზერის ინსტიტუტმა რეიტინგები 28 სექტემბერს გამოაქვეყნა.

აღნიშნულ რეიტინგში საქართველოს წინ უსწრებენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ჰონკონგი, სინგაპური, ახალი ზელანდია, შვეიცარია, ირლანდია და დიდი ბრიტანეთი.

2015 წელს საქართველო მე-11 ადგილს, ხოლო 2016 წელს, დაზუსტებული მონაცემების საფუძველზე, - 7-9 ადგილებს იკავებდა ავსტრალიასა და მაურიციუსთან ერთად.

რეიტინგში ქვეყნების რანგირება ხდება 5 ძირითადი სფეროს მიხედვით: სამთავრობო ხარჯები; საკუთრების უფლების დაცულობა და სასამართლო; მყარი ფულადი პოლიტიკა; საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება; კრედიტების, დასაქმებისა და ბიზნესის რეგულაციები.

სამთავრობო ხარჯების შემცირების, ვაჭრობის თავისუფლების და ბიზნესის რეგულაციების კუთხით რეიტინგში საქართველოს მაჩვენებელი გაზრდილია. რაც შეეხება საკუთრების უფლების დაცულობას და სასამართლოს ასევე მყარ ფულად პოლიტიკას ამ მხრივ ქვეყნის მაჩვენებლები ოდნავ გაუარესებულია. სასამართლოს შემთხვევაში ეს გამოიწვია ბიზნესთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების გაჭიანურებამ. გაჭიანურებული ბიზნესდავების გამო, არსებობს ეჭვი, რომ სასამართლო ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე დამოუკიდებელი. ყველაზე ცუდად არის შეფასებულის მონეტარული პოლიტიკა. აღნიშნული შედეგები 2015 წლის შემდგომ მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთდა.

https://pia.ge/post/153049--msoflio-ekonomikuri-tavisuflebis-reitingsi-saqartvelo-me-8-adgilzea

საქართველო სამხედრო სიძლიერის რეიტინგში 82-ე ადგილზეა

Global Firepower Index-ის მიხედვით, 133 ქვეყანას შორის საქართველო ჯარის სიძლიერით 82-ე ადგილს იკავებს. რეგიონში ლიდერია აზერბაიჯანი, რომელიც 58-ე ადგილს იკავებს, სომხეთი კი საქართველოს 11 პოზიციით ჩამორჩება.

საერთო რეიტინგში ლიდერობს ამერიკის შეერთებული შტატები, შემდეგ მოდიან რუსეთი და ჩინეთი. ხუთეულში შედიან ინდოეთი და საფრანგეთი. ინდექსი დგინდება 50-ამდე ფაქტორით, მათ შორის არმიაში სამხედრო ძალისა და სამხედრო ტექნიკის რაოდენობით, ასევე ჯარის დაფინანსების მოცულობით.

Global Firepower Index-ის მონაცემებით, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ყავს 220 ტანკი, 118 თვითმავალი არტილერია, 42 საჰაერო ძალა, მათ შორის 11 მოიერიშე და 13 სასწავლო. ამავე მონაცემებით, საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტი შეადგენს 380 მილიონ დოლარს. შეიარაღებულ ძალებში ირიცხება 35 ათას 825 ადამიანი.
01.09.2017 - http://georgianpress.ge/com/news/view/27613?lang=1

მსოფლიო ქველმოქმედების რეიტინგში საქართველო ბოლოდან მეოთხეა

მსოფლიო ქველმოქმედების რეიტინგში საქართველო ბოლოდან მეოთხე ადგილზეა. ეს იმას ნიშნავს, რომ, კვლევის ავტორთა შეფასებით, ქართველები მეტად იშვიათად ეხმარებიან გაჭირვებულებს და ქველმოქმედების მიზნით ფულს პრაქტიკულად არ ხარჯავენ. 2017 წლის კვლევაში მონაწილე 139 ქვეყნიდან, საქართველო 135-ე ადგილზეა.

მსოფლიო ქველმოქმედების რეიტინგი ბრიტანულმა ორგანიზაცია "საქველმოქმედო დახმარების ფონდმა" გამოაქვეყნა. ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეთა ქველმოქმედებისაკენ მიდრეკილების ხარისხი სამი ძირითადი კომპონენტის მიხედვით ფასდება – უცნობი ადამიანის-

თვის დახმარების გაწევა, საქველმოქმედო ფულადი შემოწირულობა და მოხალისეთა აქტივობაში ჩართულობა.

მსოფლიოს ქველმოქმედების რეიტინგში პირველი ხუთეული ასეთია: მიანმარი, მალაიზია, კენია, ახალი ზელანდია და აშშ. რაც შეეხება ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებს, საქართველო ყველა მათგანს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. მსოფლიო ქველმოქმედების რეიტინგში სომხეთი 122-ე ადგილზეა, აზერბაიჯანი – 126-ზე, რუსეთი – 124-ზე. სარეიტინგო ცხრილში საქართველოს მეზობლად არიან კამბოჯა (134-ე ადგილი) და მაროკო (136-ე).

ამასთან, თუკი საერთო რეიტინგს კომპონენტებად დავაცალკევებთ, ”უცნობი ადამიანისთვის დახმარების გაწევის” რეიტინგში საქართველო 113-ე ადგილზეა, “ფულადი შემოწირულობის” მიხედვით – 137-ზე, ხოლო “მოხალისეთა აქტივობაში ჩართულობით” – 124-ზე.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის მონაცემების მიხედვით, 140 ქვეყნიდან საქართველო 120-ე ადგილს იკავებდა და უსწრებდა რუსეთს, ლიტვასა და აზერბაიჯანს.

პოლიტოლოგი და ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე “მთელ კვირასთან” საუბრისას აღნიშნავს, რომ ამ რეიტინგში შეტანილი კომპონენტები ზუსტად ასახავს ევროპულ ღირებულებებს და საქართველოს შედეგი ამით არის განპირობებული.

http://bfm.ge/?p=33580